



გთხოვთ, 14.07.2019-მდე საკუთარი აზრის მოწოდებით, დაგვეხმაროთ გავაუმჯობესოთ ბიულეტენი <https://bit.ly/2YDLZuT>

ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი(BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიმსუბუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეტი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გავვიზიარეთ მისამართზე: info@baltic.media

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,

Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. მედიაწიგნიერების კურსი ახალგაზრდა ჟურნალისტებისა და აქტივისტებისათვის ესტონეთში
2. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო აცხადებს საგრანტო კონკურსს, „თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის“ პროგრამის ფარგლებში
3. სტიპენდია ჟურნალისტებისათვის ნიდერლანდების რადიოში კურსის გასავლელად
4. National Geographic გრანტები პროექტებისათვის მიგრაციის თაობაზე
5. National Geographic გრანტები Exploration
6. მცირე გრანტების კონკურსი რეგიონთაშორისი გამოძიებისათვის
7. Digital Integrity-ს სტიპენდია
8. სტაჟირება ჟურნალისტებისათვის ევროკომისიაში(ბრიუსელი)
9. კლიმატის ცვლილების შესახებ მომზადებული მასალების კონკურსი
10. სტიპენდია დამწყები ჟურნალისტებისა და მწერლებისთვის მთელი მსოფლიოდან
11. AAAS Kavli Science Journalism Awards- პრემია სამეცნიერო ჟურნალისტიკაში მთელი მსოფლიოდან
12. მიიღება ნამუშევრები ონლაინ-ჟურნალისტიკის კონფერენციაზე
13. კონკურსი დოკუმენტური ფილმის მომზადებისათვის
14. ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი კინოფესტივალი
15. რედკლიფის ინსტიტუტის სტიპენდია ჟურნალისტებისათვის
16. დემოკრატიის მხარდაჭერის რეიგან ფასელის ნაციონალური ფონდის სტიპენდია
17. ჟურნალისტური ნამუშევრების კონკურსი

1. მედიაწიგნიერების კურსი ახალგაზრდა ჟურნალისტებისა და აქტივისტებისათვის ესტონეთში

გეოგრაფია- ევროკავშირი და სამეზობლო ქვეყნები

SALTO-YOUTH - ეს ექვსიდან ერთ-ერთი რესურსცენტრია, რომელიც ევროპის პრიორიტეტულ რეგიონებში ახალგაზრდების მიმართულებით მუშაობს. პროგრამის ფარგლებში, 40-მდე ახალგაზრდა ტალინში შეიკრიბება და შეხვდება მედია სფეროს ექსპერტებს. მონაწილეები გაიგებენ მეტს მედია ინოვაციების და მედია წიგნიერების შესახებ. გაუცვლიან ერთმანეთს გამოცდილებას და იდეებს, მედია წიგნიერების რეალური პროექტების შესახებ.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2LwkBeQ>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 10 ივლისი 2019.

2. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო აცხადებს საგრანტო კონკურსს, „თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის“ პროგრამის ფარგლებში

გეოგრაფია: საქართველო

საგრანტო პროგრამა განკუთვნილია საქართველოში რეგისტრირებული იმ დამწყები კერძო და მცირე საწარმოებისთვის, რომელთა რეგისტრაციიდან ორ წელზე ნაკლებია გასული. განაცხადის შემოტანა ასევე შეუძლიათ რეგისტრაციის არმქონე ფიზიკურ პირს ან ფიზიკურ პირთა ჯგუფს. პროექტი არ აკონკრეტებს, მაგრამ არ გამორიცხავს მედია ორგანიზაციების მონაწილეობას.

თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში გაცემული დაფინანსება განკუთვნილია მაქსიმუმ ერთწლიანი პროექტებისათვის და არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის, 90 პროცენტს და 100'000 ლარს.

დაწვრილებით: <http://bit.do/eU3nF>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 10 ივლისი 2019 წელი.

3. სტიპენდია ჟურნალისტებისათვის ნიდერლანდების რადიოში კურსის გასავლელად

გეოგრაფია: სომხეთი და საქართველო

Orange Knowledge Programme იწყებს განაცხადების მიღებას ჟურნალისტურ კურსებში მონაწილეობისათვის. კურსები შედგება ნიდერლანდების რადიოს სასწავლო ცენტრში. სწავლება დაფინანსებულია ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ და გაიმართება უმაღლესი განათლების საერთაშორისო თანამშრომლობის ნიდერლანდული ორგანიზაციის მიერ. სტიპენდია ფარავს სატრანსპორტო საცხოვრებელ, სასწავლო და დაზღვევის ხარჯებს.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2b7ZlKj>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 11 ივლისი 2019 წელი.

4. National Geographic გრანტები პროექტებისათვის მიგრაციის თაობაზე

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

National Geographic Society იწყებს განაცხადების მიღებას პროექტებზე ადამიანების მიგრაციის შესახებ. განაცხადის შეტანა შეუძლიათ Storytelling-ის ოსტატებს, გარემოს დამცველებს, პედაგოგებსა და მკვლევარებს. პროექტებში უნდა იყოს მოთხრობილი თანამედროვე სამყაროში მიგრაციის მიზეზების და შედეგების შესახებ, ან თანამედროვე მიგრანტების ცხოვრების შესახებ -მათი მოგზაურობა და მიმღები საზოგადოება. ასევე განიხილება პროექტები, რომლის ფარგლებში მომზადდება სასწავლო რესურსები, სასწავლო გეგმები ან საიფორმაციო მასალები, მიმართული მიგრანტების გათვითცნობიერებაზე.

გრანტის საშუალო მოცულობა არ აღემატება 30 000 დოლარს

დაწვრილებით: <http://bit.do/eU3md>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 11 ივლისი 2019 წელი.

5. National Geographic გრანტები Exploration

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

National Geographic იღებს განაცხადებს განაცხადებს Exploration გრანტების მისაღებად. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ პროექტების გამოცდილ ხელმძღვანელებს, რომლებიც არიან კავშირში გარემოს დაცვასთან, განათლებასთან, ტექნოლოგიებსა და გამოძიებასთან. პროექტები შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ფორმატში: ფოტო, ფილმი, ჟურნალისტიკა და ციფრული მედია. თემები უნდა შეეხებოდეს National Geographic-ის მიერ შეთავაზებულ სამთაგან ერთ-ერთს: ველური ბუნება, ცვალებადი პლანეტა და მოგზაურები. შერჩეული პროექტები მიიღებს გრანტებს 10 000-დან 30 000 დოლარამდე. განმცხადებლებმა უნდა წარმოაჩინონ, რომ მათ აქვთ მსგავსი პროექტების განხორციელების გამოცდილება, რომელთა შედეგიც გაზომვადია.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2KQIi1P>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 10 ივლისი 2019 წელი.

6. მცირე გრანტების კონკურსი რეგიონთაშორისი გამოძიებისათვის

გეოგრაფია: ევროპა

Journalismfund იღებს განაცხადებს ევროპული ტრანსსასაზღვრო პროექტების მხარდასაჭერად, პროფესიონალი ჟურნალისტებისაგან, რომელთაც აქვთ იდეა ტრანსსასაზღვრო და ევროპის საქმეების გამოძიებების შესახებ. ისტორიები უნდა იყოს აქტუალური ევროპის სამიზნე აუდიტორიისთვის. გრანტის ოდენობა ოთხი პროექტისათვის შეადგენს 195 000 ევროს.

დაწვრილებით: <http://bit.do/eU3mC>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 ივლისი 2019 წელი.

7. Digital Integrity-ს სტიპენდია

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

Open Technology Fund იღებს განაცხადებს სასტიპენდიო პროგრამა Digital Integrity (DIFP)-ში მონაწილეობის მიზნით. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ჟურნალისტებს და სპეციალისტებს ციფრული უსაფრთხოების სფეროდან.

სტიპენდიანტები იმუშავენ ორგანიზაციებთან, ჯგუფებთან ან ორგანიზაციების ქსელთან, რომლებიც მოღვაწეობენ ადამიანის უფლებების და ინტერნეტში სიტყვის თავისუფლების დარღვევების საკითხებზე. მონაწილეები პროგრამას გაივლიან იმ ქვეყნებში, რომელთაც მათ მიერ შეთავაზებული პროექტები შეეხება.

პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია სტიპენდიის მიღება 5 000 დოლარის ოდენობით 12 თვის განმავლობაში. ასევე, გაიცემა სტიპენდია საორგანიზაციო ხარჯებისთვის.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2YscJP9>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 ივლისი 2019 წელი.

8. სტაჟირება ჟურნალისტებისათვის ევროკომისიაში(ბრიუსელი)

გეოგრაფია: ევროკავშირი და სამეზობლო ქვეყნები

სტაჟირება ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის 18-დან 30 წლამდე. 6-11 ოქტომბრამდე ბრიუსელში ევროკომისია გამართავს პროგრამას ჟურნალისტებისათვის, რომლის მიზანიც არის მონაწილე ქვეყნებში ევროკავშირის ღონისძიებების განხილვა. შერჩეულ კანდიდატებს ბრიუსელში მიიწვევენ. სტაჟირების დროს, მონაწილეებს შეეძლება დაესწრონ ტრენინგებს, იმუშაონ გამოცდილ ჟურნალისტებთან, ეწვიონ ევროკავშირის შტაბ-ბინას მედიის საკითხებში და ასევე სხვა დაწესებულებებს. მონაწილეებს მოეთხოვებათ - დაწერონ სტატია (400 - 1000 სიტყვა), გადაიღონ ვიდეო (2-3 წთ.). ვიდეო ან სტატია უნდა ასახავდეს იმ ღონისძიებებს ან პროექტებს, რომლებიც დაფინანსებულია რეგიონული განვითარების ევროპული ფონდის ან ერთიანობის ფონდის მიერ.

დაწვრილებით: <https://bit.do/eU3mY>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 ივლისი 2019 წ.

9. კლიმატის ცვლილების შესახებ მომზადებული მასალების კონკურსი

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

გაეროს სამდივნოს (<https://unfccc.int>) და UNDP-ის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში (<https://sgp.undp.org>) გამოცხადდა კონკურსი კლიმატის ცვლილებების შესახებ მომზადებულ ვიდეოებზე. ვიდეო არ უნდა აღემატებოდეს სამ წუთს და უნდა წარმოაჩინდეს თუ რას აკეთებენ ადამიანები კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დამწყებ ავტორებს 18-დან 30 წლამდე.

კონკურსი იმართება სამ კატეგორიაში: მიწა, ბიომრავალფეროვნება და კლიმატი. ვიდეო უნდა მომზადდეს ინგლისურ ენაზე ან შეიცავდეს ინგლისურენოვან სუბტიტრებს.

გამოვლინდება ორი გამარჯვებული. ისინი დაეხმარებიან გაეროს წარმომადგენლებს მოამზადონ ვიდეოები კლიმატის ცვლილებების შესახებ. ასევე ჩაერთვებიან სტატიების და პოსტების მომზადებაში და მიიღებენ სრულ დაფინანსებას გაემგზავრონ კლიმატის ცვლილებისადმი მიძღვნილ 25 სესიაზე, რომელიც გაიმართება დეკემბერში ჩილეში.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2HJG81n>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 28 ივლისი 2019 წ.

10. სტიპენდია დამწყები ჟურნალისტებისა და მწერლებისთვის მთელი მსოფლიოდან

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

«Fear No Lit» - ლიტერატურული ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს უჩვეულო ლიტერატურული შთაბეჭდილებების შექმნაზე იწყებს განაცხადების მიღებას სტიპენდიების მსურველთათვის. მონაწილეობა შეუძლიათ დამწყებ ავტორებს: ჟურნალისტებსაც და მწერლებს. (Submerging Writer Fellowship). პროგრამა გამარჯვებულ ავტორს აძლევს საშუალებას გამოსცეს წიგნის 125 ეგზემპლარი (საავტორო უფლებების შენარჩუნებით). ასევე სთავაზობს დახმარებას წიგნის პოპულარიზაციაში 500 დოლარის ოდენობით და სტიპენდიას ასეთივე ოდენობით.

მიიღება განაცხადები მონაწილეთაგან, რომელთაც მანამ არ გამოუქვეყნებიათ წიგნი, არ მიუღიათ მნიშვნელოვანი ჯილდოები და არ უსწავლიათ მაგისტრატურაზე.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2KUfq95>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 31 ივლისი 2019 წელი.

11. AAAS Kavli Science Journalism Awards- პრემია სამეცნიერო ჟურნალისტიკაში მთელი მსოფლიოდან

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

მეცნიერების განვითარების ამერიკული ასოციაცია (AAAS) წარმოადგენს მსოფლიოში უმსხვილეს სამეცნიერო საზოგადოებას და სხვადასხვა ჟურნალის გამომცემლობას. კავლის ფონდის მიერ დაწესებული, AAAS Kavli Science Journalism Awards-პრემია, გადაეცემა ჟურნალისტებს, როლებიც აშუქებენ სამეცნიერო და ტექნოლოგიურ თემებს ფართო აუდიტორიისათვის.

კონკურსის კატეგორიებია: გაზეთი, ჟურნალი, აუდიო, ვიდეო, (მცირე და ვრცელი რეპორტაჟები) ვიდეო (სიღრმისეული ანალიტიკური რეპორტაჟები), ონლაინ და სამეცნიერო გამოცემები და პროგრამები გათვლილი ბავშვებზე. ნამუშევრები უნდა იყოს გადაცემული ეთერში ან გამოქვეყნებული 2018 წლის 16 ივლისიდან 2019 15 ივლისამდე. უცხო ენებზე მომზადებულ მასალებს უნდა ახლდეს ინგლისურენოვანი თარგმანი. ყოველ კატეგორიაში იქნება გადაცემული ორი ჯილდო: ოქროს პრიზი - 5 000 დოლარი და ვერცხლის პრიზი - 3 0000 დოლარი. გამარჯვებულებს ასევე აუნაზღაურდებათ სატრანსპორტო ხარჯები დაჯილდოების ცერემონიაზე დასასწრებად, რომელიც გაიმართება 2020 წლის თებერვალში სიეტლში, აშშ.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2XICSNX>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 1 აგვისტო 2019 წელი.

12. მიიღება ნამუშევრები ონლაინ-ჟურნალისტიკის კონფერენციაზე

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

ჟურნალისტებსა და მეცნიერებს მთელი მსოფლიოდან, რომელთაც გააჩნიათ ორიგინალური კვლევები ონლაინ-ჟურნალისტიკის სფეროში შეუძლიათ გამოაქვეყნონ სტატია სამეცნიერო ჟურნალში.

(<https://isoj.org>) საერთაშორისო სიმპოზიუმი ონლაინ-ჟურნალისტიკაში აცხადებს შემდეგ თემაზე მომზადებული კვლევების მიღებას: „ძალაუფლება, პრივილეგიები და პატრიარქატი ჟურნალისტიკაში: მასმედიის კონტროლის დინამიკა, წინააღმდეგობა და განახლება“.

ორგანიზატორები ავტორებს სთავაზობენ საკუთარ კვლევებში ჩართონ მულტიმედია ელემენტები, ვიდეო, ინტერაქტიული გრაფიკა, აუდიო და სხვა. განაცხადები მიიღება ინგლისურ ენაზე.

XXI კონფერენცია ISOJ გაიმართება 24 და 25 აპრილს ოსტინში, ტექსასის უნივერსიტეტში. კონფერენცია შეიცავს კვლევებსა და დისკუსიებს მეცნიერებსა და ჟურნალისტებს შორის მთელი მსოფლიოდან.

ნამუშევრების რეცენზიები მომზადდება ანონიმურად წამყვანი უნივერსიტეტების მეცნიერების მიერ.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2ZjVy2e>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 23 აგვისტო 2019 წელი.

13. კონკურსი დოკუმენტური ფილმის მომზადებისათვის

გეოგრაფია: მოლდოვა, უკრაინა, სამხრეთ კავკასიის ქვეყნები და ცენტრალური აზია

The Institute for War and Peace Reporting

გეგმავს მოამზადოს დოკუმენტური ფილმი ცენტრალური აზიის, კავკასიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მართვის პრობლემების შესახებ. ფილმი მითითებული ქვეყნების კონტექსტში უნდა მოიცავდეს შემდეგ თემებს: გარემოს დაცვა, ქალებისა და გოგონების წინაშე არსებული გამოწვევები, დეზინფორმაციის და პროპაგანდის გავლენები საზოგადოებაზე, მართვა და კორუფცია, კონფლიქტები.

ფილმის მიზანია წარმოაჩინოს ცენტრალური აზიის, სამხრეთ კავკასიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საერთო პრობლემები, იმისათვის რომ საზოგადოებამ უკეთ გაიგოს აღნიშნული საკითხები და წახალისოს კონსტრუქციული დიალოგი საერთო პრობლემების მოგვარების მიზნით. ფილმმა უნდა ასახოს ყოველდღიური რეალობა, მოიცვას ისტორიები და ყველა მხარის პოზიციები.

მოთხოვნები: დაინტერესებულმა ორგანიზაციამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ფილმის მომზადების სრულ პროცესზე. ფილმი უნდა მომზადდეს მაღალი ვიდეო და აუდიო ხარისხით.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2N1m1QW>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 31 აგვისტო 2019 წელი.

კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით ანა დაბრუნდამვილს: caucasusprogramme@iwpr.net არა უგვიანეს 17 ივლისისა 2019 წელი.

14. ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი კინოფესტივალი

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

საერთაშორისო დოკუმენტური ფილმის ფესტივალი „ერთი მსოფლიო“ (One World), ორგანიზებულია ჩეხური არასმთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი განსაცდელში“ მიერ. (<http://www.clovekvtisni.cz/en>) გაიმართება 5*დან 141 მარტამდე პრაღაში, ჩეხეთი. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კინემატოგრაფისტებს მთელი მსოფლიოდან. კონკურსში პრიზები გადაიცემა საერთო კატეგორიებში და საუკეთესო რეჟისურის ნომინაციაში. მიიღება ფილმები რომელზეც მუშაობა დასრულებულია ან დასრულება 2018 წლიდან 2020-მდე. ფილმებს, რომლებიც არ არის მომზადებული ინგლისურ ენაზე უნდა ახლდეს სუბტიტრები. მონაწილეობის ღირებულება 20 ევრო.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2IB5MqZ>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 1 სექტემბერი 2019 წელი.

სექტემბერში და ნოემბრამდე დასასრულებელი ფილმების დედლაინი: 1 ნოემბერი 2019 წელი.

15. რედკლიფის ინსტიტუტის სტიპენდია ჟურნალისტებისათვის

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

ამ სტიპენდიის მისაღებად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს, აუდიო, ვიდეო, ახალი მედია და ფილმის შემქმნელებს - კემბრიჯი, მასაჩუსეტსი, აშშ. რედკლიფის სახელობის პერსპექტიული კვლევების ინსტიტუტის სასტიპენდიო პროგრამა სთავაზობს მონაწილეებს იმუშაონ ამოცანების ფართო სპექტრზე, რომლებიც მიეკუთვნება სხვადასხვა პროფესიას, სამეცნიერო სფეროს და ხელოვნებას, ჟურნალისტიკის ჩათვლით.

სტიპენდიის მოცულობა - 77 500 დოლარამდე წელიწადში, პროექტის განხორციელებისათვის დამატებითი ხარჯების გამოყოფით. სტიპენდიანტებს შეუძლიათ გამოიყენონ ოფისი და სტუდია, ასევე ექნებათ წვდომა ბიბლიოთეკასა და სხვა რესურსებზე. პროგრამა გათვლილია 2020 სექტემბრიდან 2021 წლის მაისამდე.

პროგრამაში მონაწილე პრეტენდენტ ჟურნალისტებს უნდა ჰქონდეთ მინიმუმ 5 წლიანი პროფესიული გამოცდილება.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2IBYrFX>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 12 სექტემბერი 2019 წელი.

16. დემოკრატიის მხარდაჭერის რეიგან ფასელის ნაციონალური ფონდის სტიპენდია

გეოგრაფია: მთელი მსოფლიო

National Endowment for Democracy/ NED-ის მთავარი დამფუძნებლების, რონალდ რეიგანის და კონგრესმენ დანტე ფაცელის სახელობის სასტიპენდიო პროგრამა გახლავთ საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა, რომელიც ფედერალური ბიუჯეტიდან ფინანსდება. პროგრამა დემოკრატიის აქტივისტებს, ჟურნალისტებს, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებს და მეცნიერებს მთელ მსოფლიოდან სთავაზობს გაატაროს 5 თვე NED-ის რეზიდენციაში, ვაშინგტონში, იმისათვის რათა აწარმოონ კონკრეტული ქვეყნისა თუ რეგიონის დემოკრატიის კვლევა.

დაწვრილებით: <https://bit.ly/2LHsChd>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 1 ოქტომბერი 2019 წელი.

17. ჟურნალისტური ნამუშევრების კონკურსი

გეოგრაფია: საქართველო

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი აცხადებს კონკურსს საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრის გამოსავლენად, ზრდასრულთა განათლების თემაზე. ზრდასრულთა განათლების კონკურსის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ზრდასრულთა განათლების (ფორმალური და არაფორმალური) შესახებ.

კონკურსში განსახილველად მიიღება, 2019 წლის იანვრიდან 2019 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით ტელე-რადიო სიუჟეტი ან რეპორტაჟი, ბეჭდვით, ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაცია (სტატია, ესსე) ან ფოტო-რეპორტაჟი თემაზე: „საქართველოს განათლების რეალობა და პრობლემები“.

კონკურსში გამარჯვებულისათვის საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელმა დააწესა ჯილდო - 1000 ლარი.

იხილეთ დაწვრილებით: <http://bit.do/eU3nR> და info@gaen.org.ge



გთხოვთ, 14.07.2019-მდე საკუთარი აზრის მოწოდებით, დაგვეხმაროთ გავაუმჯობესოთ ბიულეტენი <https://bit.ly/2YDLZuT>

© Baltic Centre for Media Excellence, 2019.

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

შემდგენები: ალინა რუდინა, არშალუს მურადიანი, დიანა ხოდულინა, ეგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინშ მურნიკსი, ნაილია ალიევა, თამარ ხორბალაძე, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამოწურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

- salto-youth.net
- grants.gov.ge
- rntc.com
- nationalgeographic.org
- journalismfund.eu
- opentech.fund
- youth4regions.win
- biomovies.tve.org
- fearnolit.com
- sjawards.aaas.org
- iwpr.net
- knightcenter.utexas.edu
- my.oneworld.cz
- radcliffe.harvard.edu
- ned.org
- gaen.org.ge

